ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.08.2016

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/16

შეკითხვა:

შემიძლია თუ არა, რომ წარმოვადგინო კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ინტერესები, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა?

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, რომ მე არ მაქვს გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და არც შესაბამისი სერტიფიკატი გამაჩნია.

ანალიზი:

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატს, მხოლოდ ამის შემდეგ წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატის ეს ვალდებულება, ცალსახად მოიცავს, საქმის მომზადებისა და საქმის შემდგომი წარმოების ეტაპს. რაც თავის მხრივ გულისხმობს, საქმის მომზადებას სასამართლოში წარსადგენად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვებას, საქმის მიმდინარეობისას პროცესის კვალიფიციურად წარმართვასა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულების უზრუნველყოფას რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №035/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი - 2,5,6.) არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატს, რომელიც არ არის სპეციალიზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის, ასევე, სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 1-ლი მუხლი განსაზღვრავს აღნიშნული კოდექსის მოქმედების სფეროს:

მუხლი 1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მიზანი

1. ეს კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

2. ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

აღნიშნული ნორმის განმარტებიდან ჩანს, რომ ეს კოდექსი არეგულირებს არასრულწლოვანის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევებსაც.

ამავე კოდექსის მე-20-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განმარტავს არასრულწლოვანის საქმის წარმოებაში ადვოკატის მონაწილეობის საფუძვლებს, კერძოდ:

მუხლი 20. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი

1. არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდესი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის არმქონე ადვოკატისათვის რაიმე საგამონაკლისო შემთხვევას არ უშვებს, რომ მან მიიღოს მონაწილეობა არასრულწლოვანის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, თუნდაც ეს ეხებოდეს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის განხილვის საკითხს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული, მას არ აქვს უფლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად მიიღოს მონაწილეობა შეკითხვაში მითითებულ საქმისწარმოებაში. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/